



TBILISI.GOV.GE

თბილისის მერია

ქ. შარტავას ქ. №7

სარეგისტრაციო ნომერი: 07/145486-1

171

თარიღი: 31.10.11

ქალაქ თბილისის მერს
ბ-ნ გ.უგულავას

ბატონო გიორგი,

2011 წლის 6 ოქტომბერს №11/132229-7 განცხადებით მიემართეთ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და ვთხოვეთ მოეწოდებინა ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 5 ივნისის 08.36.184 დადგენილება. დაზედაც ჯერ კიდევ არ მიგვიღია პასუხი

მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ხასიათისაა და ჩვენს ინტერესშია მისი დაუყოვნებლივ მოწოდება.

მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჯარო ინფორმაცია გასცეს და უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ, დღემდე, 2011 წლის 31 ოქტომბრამდე, არანაირი პასუხი არ მიგვიღია, ხოლო მერიის ცხელი ხაზის მეშვეობით გადამოწმებისას გვიპასუხეს რომ პასუხი არცაა მზად.

ბატონო გიორგი,

ზემოაღნიშნული ნორმების დარღვევა, სამწუხაროდ არაა პირველი შემთხვევა ზოგადად ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების მხრიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე; 179-ე; 180-ე; 181-ე; 183-ე და 201-ე მუხლების საფუძველზე

1. წარმოებაში მიიღოთ წინამდებარე საჩივარი;
2. დაავალოთ ქ.თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს გასცეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

დანართი: 2011 წლის 30 სექტემბრის 11/138873-7 წერილი

ააიპ "უსაფრთო სივრცის"
თავმჯდომარე

/ა.გაბრიაძე/